მ ხ ა რ ე თ ა შ ე თ ა ნ ხ მ ე ბ ა N1

2016 წლის 29 სექტემბრის სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №194 ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

ქ. ბათუმი 17 ოქტომბერი 2016 წ.

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიასა და შპს „ხობი-2005"-ს შორის 2016 წლის 29 სექტემბერს დაიდო №194 ხელშეკრულება სტიქიის შედეგად მიყენებული ზიანის ლიკვიდაციისათვის განსახორციელებელი სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე.

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის კეთილმოწყობის სამსახურის 2016 წლის 17 ოქტომბრის N18581-25 მოხსენებითი ბარათის თანახმად, შპს ,,ხობი-2005''-მა აიღო ვალდებულება N194 ხელშეკრულების საფუძველზე საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია დაემზადებინა - 1,9%-ში. შესრულებული სამუშაოების პირველმა ეტაპმა შეადგინა - 969 379,14 ლარი, რომელიც დაფინანსდა ხელშეკრულების თანახმად - 1,9%-ით. ვინაიდან სამუშაოთა მე-2 ეტაპი მოცულობით დიდია და შესაბამისად ხელშეკრულებით გათვალისწინებულ 1,9%-ით საპროექტო დოკუმენტაციის დამზადება აჭარბებს სახელშეკრულებო თანხას შპს ,,ხობი-2005'' გამოთქვამს მზაობას დარჩენილი მე-2 ეტაპი შეასრულოს - 1,61%-ში, ხოლო კორექტირების შედეგად ხელშეკრულების საბოლოო ღირებულება შემცირდეს და განისაზღვროს - 44 999,62 ლარით. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული შევიდეს ცვლილება ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიასა და შპს „ხობი 2005-ს" შორის 2016 წლის 29 სექტემბერს გაფორმებულ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ N194 ხელშეკრულებაში.

ჩვენ, ერთის მხრივ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია, მუნიციპალიტეტის ვიცე-მერის ბაგრატ მანველიძის სახით და მეორეს მხრივ შპს„ხობი-2005" მისი დირექტორის სევერიან დოლბაიას სახით, მოქმედი კანონმდებლობისა და ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიასა და შპს ,,ხობი-2005"-ს შორის 2016 წლის 29 სექტემბერის სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №194 ხელშეკრულების მე-7 მუხლის საფუძველზე, შევთანხმდით შემდეგზე:

1. შევიდეს ცვლილება ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიასა და შპს ,,ხობი-2005"-ს შორის 2016 წლის 29 სექტემბერს დადებული N194 ხელშეკრულებაში, კერძოდ პირველი ეტაპის მომსახურეობის (969379,14 ლარი) პროცენტი განისაზღვროს 1,9%-ით, ხოლო მეორე ეტაპის (1651044,16 ლარი) მომსახურეობის პროცენტი განისაზღვროს 1,61%-ით (დანართი: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის კეთილმოწყობის სამსახურის 2016 წლის 17 ოქტომბრის N18581-25 მოხსენებითი ბარათი);

2. აღნიშნული ცვლილებების გათვალისწინებით სახელშეკრულებო თანხა შემცირდეს 0,38 ლარით და განისაზღვროს 44999,62 ლარით.

3. წინამდებარე შეთანხმება შედგენილია ორთანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად და ის წარმოადგენს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ 2016 წლის 29 სექტემბერს დადებული N194 ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

4. წინამდებარე შეთანხმება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერისათანავე.

„შემსყიდველი"	„მიმწოდებელი"
ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია მუნიციპალიტეტის ვიცე-მერი ბაგრატ მანველიძე	შპს „ხობი-2005" დირექტორი სევერიან დოლბაია
(ხელმოწერა)	(ხელმოწერა)

L.T.D. KHOBI-2005
შ.პ.ს. ხობი-2005

საქართველო, ხობი, ბერიას ქ.N7, ტ: 599 68 54 84, ელ.ფოსტა: samegrelo@boom.ge

11.08.2016 წ.

მინდობილობა

მე სევერიან დოლბაია პ/ნ 58001012785 მცხოვრები ქ.ხობი ბერიას ქუჩა #7-ში უფორმებ მინდობილობას ლევანი კვიკვინიას პ/ნ 58001001545 მცხოვრები ქ. ხობი, პ/მაისი. ბათუმის ქ. ბატუმის მერიაშიკ იყოს ჩემი წარმომადგენელი ხელის მოწერის უფლებით.

მინდობილობა ძალაშია 2016 წლის 25 დეკემბრამდე.

პატივისცემით:

შ.პ.ს. "ხობი-2005"-ის დირექტორი: /სევერიან დოლბაია/